შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№42 (9.756)

5 - 12 ნოემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ცენტრალური გზების რეაბილიტაცია

გვ.3

გაუმჯობესებული წყალმომარაგება საზღვრისპირა სოფლებში

გვ.3

რა ფორმით არის შესაძლებელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება

გვ.3

სტუმარ-მასპინძლობა და სახალხო დიპლომატია

გვ.4

სულხან მოლაშვილის ოჯახს 2004 წელს უკანონოდ ჩამორთმეული ქონება უკან დაუბრუნდება - პროკურატურა

გვ.2

გვ.8

გამოჯანმრთელებული არწივი ველურ ბუნებაში დააბრუნეს

ელიას მონასტერი კლდიდან ჩამოვარდნილმა ლოდმა დააზიანა

გვ.8

ირაკლი კობახიძე - ჩვენი გუნდი, სავარაუდოდ, საპარლამენტო მმართველობის შენარჩუნებას დაუჭერს მხარს

სავარაუდოდ, ჩვენი გუნდი საპარლამენტო მმართველობის შენარჩუნებას დაუჭერს მხარს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განუცხადა.

თუმცა როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, მმართველი გუნდი ყველა იდეის განხილვისთვის მზად არის, ვინაიდან საკონსტიტუციო რეფორმა ფართო კონსენსუსის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

„ჩვენ წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვაქვს არცერთ კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართებით. ეს არის ჩვენი შეგნებული პოზიცია. ჩვენ ვთქვით, რომ ჩამოყალიბდება სპეციალური ფორმატი, რომლის ფარგლებშიც განიხილება საკონსტიტუციო ცვლილებები. ამ ფორმატის ჩამოყალიბებამდე ჩვენ ყველა საკითხი ღიად უნდა დავტოვოთ. როგორც კი დაიწყება მუშაობა საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ბუნებრივია, განიხილება ყველა ის ინიციატივა და იდეა, რომელიც სხვადასხვა მხრიდან შეიძლება მოდიოდეს. ამ ფორმატში უნდა იყოს ჩართული, როგორც საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიები, ასევე, არასამთავრობო სექტორი, ექსპერტული წრეები... ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო პარტნიორების აზრი. ჩვენ აბსოლუტურად ღია ვართ ნებისმიერი ტიპის დისკუსიისთვის. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიციები ძალიან ფართო დისკუსიის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს და ბოლოს, უნდა შედგეს ფართო კონსენსუსი“, - განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება კითხვას, თავად რომელ მოდელს უჭერს მხარს, კობახიძე პასუხობს, რომ მმართველი გუნდი, სავარაუდოდ, საპარლამენტო მოდელის შენარჩუნებისკენ გადაიხრება. მისივე თქმით, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კუთხით კონსტიტუციაში არსებული ხარვეზების გასწორება იქნება.

„დღეს საქართველოში ჩამოყალიბებულია საპარლამენტო მმართველობის ფორმა. სავარაუდოდ, აქეთკენ გადაიხრება ჩვენი მსჯელობა. სავარაუდოდ, ჩვენი გუნდი არსებითად ამ მმართველობის ფორმის შენარჩუნებას დაუჭერს მხარს, ანუ საპარლამენტო მმართველობის შენარჩუნებას, თუმცა კიდევ ერთხელ, ჩვენ ღია ვართ დისკუსიებისათვის და ამ დისკუსიის ფარგლებში შეიძლება სხვადასხვა იდეა იქნას განხილული. გარკვეული ცვლილებების შეტანა სჭირდება ამ სისტემას გამომდინარე იქიდან, რომ 2010 წელს მიღებული ცვლილებები შეიცავს ხარვეზებს, პირველ რიგში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კუთხით. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება კონსტიტუციის შესაბამისობაში მოყვანა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან. ამ კუთხით აუცილებლად უნდა გადაიხედოს საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია. რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, ამაზე მსჯელობა უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც ფორმატი შედგება. ჩვენ ღია ვიქნებით აბსოლუტურად თითოეული საკითხის განხილვისათვის“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძე - პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადას ვერავინ შეეხება იქამდე, ვიდრე ეს ვადა არ დასრულდება

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადას ვერავინ შეეხება იქამდე, ვიდრე ეს ვადა არ დასრულდება, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა და კონსტუტუციონალისტთა ნაწილის მოსაზრებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს უფლებამოსილების ვადა შესაძლოა დროზე ადრე შეუწყდეს.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნულ განცხადებებს სპეკულაციები უწოდა.

„ჩვენ წინასწარ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ გვაქვს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ყველაფერთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული ფართო განხილვების, კონსულტაციებისა და კონსენსუსის საფუძველზე. ეს არის ნამდვილად სპეკულაციები. არ ვიცი, რომელი იურისტები საუბრობენ ამაზე. რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებამოსილებებს და უფლებამოსილების ვადას, ამას ვერავინ შეეხება იქამდე, ვიდრე პრეზიდენტის უფლებამოსილების კონსტიტუციით დადგენილი, არსებული ვადა არ დასრულდება. ეს იქნებოდა კონსტიტუციური პრინციპების უხეში დარღვევა. ეს არის შესაბამისად, სპეკულაციები და არ ვიცი, რომელი „კონსტიტუციონალისტები“ საუბრობენ ამაზე“, - განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ეს არის გამორიცხული და პრეზიდენტის, პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, თუნდაც საკონსტიტუციო ცვლილებით, არის კონსტიტუციური სამართლის პრინციპების უხეში დარღვევა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, დღეს საქართველოში მოქმედებს საპარლამენტო მმართველობის სისტემა და მისი ვარაუდით, პარტია ალბათ, ამ სისტემას დაუჭერს მხარს.

„მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ ღია ვართ ყველანაირი კონსულტაციისთვის და ფართო კონსენსუსის საფუძველზე უნდა გადაწყდეს, ჩვენ შევინარჩუნებთ საპარლამენტო სისტემას, თუ შემოვიღებთ დემოკრატიული მმართველობის სხვა ფორმას“, - განაცხადა კობახიძემ.

პოლონეთში ქართული ღვინის კულტურას და ისტორიას შეასწავლიან

პოლონეთის ღვინის აკადემიის სკოლაში ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიას შეასწავლიან. შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და პოლონეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ფონდს შორის (Galicja Vitis) გაფორმდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მემორანდუმი ითვალისწინებს ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობას პოლონეთში სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით. სააგენტოს ცნობით, პოლონეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ფონდი პოლონეთის ღვინის აკადემიასთან თანამშრომლობს, რომლის ბაზაზეც 2015 წელს, ქალაქ იასლოში ღვინის სკოლა ჩამოყალიბდა, სადაც ლექციებს ქართული ღვინის კულტურის შესახებ წაიკითხავენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის თქმით, მემორანდუმი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პოლონეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ექსპორტის გაზრდას.

„პოლონეთი ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარია და ზოგადად ქართულ ღვინოს პოლონეთში დიდი პოტენციალი აქვს. ასევე, ყოველწლიურად მზარდია პოლონეთიდან ღვინის ტურიზმი. ველოდებით, რომ ქართულ ღვინოს მომავალში უფრო და უფრო მეტი დამფასებელი ეყოლება. დღეს მოვაწერეთ ხელი მემორანდუმს, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთ სასწავლებელში ქართული ღვინის შესახებ ლექციებს წაიკითხავენ. ჩვენ მათ ჩვენი მხრიდან დავეხმარებით ინფორმაციითა და სარეკლამო მასალის მიწოდებით და მაქსიმალურას ჩავერთვებით, რომ უფრო მეტი კარგი ღვინო იყოს წარმოდგენილი პოლონეთში“ - აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ორგანიზაცია „Galicja Vitis“ პოლონეთში ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ღვინის კონკურსის Wine Contest GALICJA VITIS-ის (http://galicjavitis.pl/en/) დამფუძნებელია. როგორც აღნიშნული ფონდის წარმომადგენელი, პოლონელი ღვინის მწერალი და ენოლოგი ვოიჩეკ ბოსაკი (Wojciech Bosak) აცხადებს, ქართული ღვინო საკმაოდ პოპულარულია პოლონეთში, სადაც მაღაზიებში, ღვინის სახლებსა და რესტორნებში ქართული ღვინის ფართო არჩევანია.

„საქართველო სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება პოლონელი ტურისტებისთვის, ღვინის ტურიზმისთვის, მათთვის, ვინც დაინტერესებულია ნახოს ვენახები, ღვინის საწარმოები, მწარმოებლები და რაღა თქმა უნდა დააგემოვნოს ღვინო. ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობის ხელშემწყობი ფონდის მიზანია, მიაწოდოს საზოგადოებას მეტი ინფორმაცია ქართული ღვინის შესახებ, როგორც მწარმოებლებს, ასევე მომხმარებლებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან, დაგვეხმარება ხელი შევუწოთ ქართულ ღვინოს, რომელსაც დიდი ისტორია და კულტურა აქვს. ჩვენ გავაცნობთ ქართულ ღვინოს ჩვენი პროფესიონალური მეღვინეობის სკოლის სტუდენტებს“ - აღნიშნა ბოსაკმა.

მისივე თქმით, ზოგიერთმა პოლონელმა მეღვინემ ღვინის წარმოება კახური მეთოდით დაიწყო.

„რა თქმა უნდა, შედეგი ისეთივე არ არის, როგორიც კახეთშია, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია. რაც შეეხება ჩვენი კონკურსის წესებს, გასულ წელს ჩვენ გვქონდა სპეციალური კატეგორია ჭაჭაზე დაყენებული თეთრი ღვინოებისთვის, რაც უმეტესად ქართველ პოტენციურ მონაწილეებზე იყო გათვლილი. ეს მეტ შანსს აძლევს ქართულ ღვინოს, რომ სათანადოდ იყოს დაფასებული ჩვეულებრივ სტანდარტულ ღვინოებთან შედარებით“, - აღნიშნა ვოიჩეკ ბოსაკმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, პოლონეთი ქართული ღვინის საექსპორტო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს. პოლონეთი ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულშია - 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 1,6 მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო, რაც გასულის წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 47%-ით აღემატება.

ნინო ლომჯარია საჯარო სამსახურში

გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ პირველ მოადგილედ ნინო ლომჯარია წარადგინა.

„საზოგადოებისთვის ცნობილია მისი საქმიანობის შესახებ. ნინო მთელი ამ ხნის მანძილზე ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისეთ პროცესებში, როგორიც არის საარჩევნო სისტემის შექმნა, ანტიკორუფციული და გამჭვირვალე გარემოს ფორმირება. მისი ცოდნა, გამოცდილება, რეპუტაცია არის პირდაპირ თანხვედრაში სახელმწიფო აუდიტის მიზნების და საქმიანობისთვის. ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიძინა პროფესიონალი კოლეგა. დიდი ხნის მანძილზე გვქონდა კონსულტაციები და მან მიიღო გადაწყვეტილება შეერთებოდა ჩვენს გუნდს”, - განაცხადა თორდიამ.

ნინო ლომჯარიამ კი აღნიშნა, რომ აუდიტის სამსახური დღესდღეობით არის ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე უწყება, რომელიც საკმაოდ წარმატებით ცდილობს დანერგოს საერთაშორისო სტანდარტები.

ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმი აშენდება

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა იგეგმება. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ამ მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 2016 წლის 18 ოქტომბერს გამოაცხადა. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 476 178 ლარს შეადგენდა.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ. მათ შორის უფრო დაბალი ფასი შემსყიდველს შპს „ტრანსმშენმა“ შესთავაზა - 396 693 ლარი, ხოლო მეორე პრეტენდენტის - შპს „სამშენებლო სარესტავრაციო კომპანია დავითი“-ს მიერ დასახელებული თანხა კი დაახლოებით 38 ათასი ლარით მეტია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, ამჟამად მიმდინარეობს ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურები. სახლ-მუზეუმის მშენებლობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში უნდა დასრულდეს.

ქართველი თეოლოგი, ისტორიკოსი და არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე 1899 წლის 31 აგვისტოს სოფელ ბაკურციხეში დაიბადა. 1995 წელს, ის საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. 2013 წელს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძეს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

სულხან მოლაშვილის ოჯახს 2004 წელს უკანონოდ ჩამორთმეული ქონება უკან დაუბრუნდება - პროკურატურა

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ოჯახს სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონება უკან დაუბრუნდება. საქართველოს მთავარი პრიკურატურის ინფორმაციით, 2004 წელს, დაკავებული სულხან მოლაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ მის ოჯახს სოფელ წავკისში მდებარე აგარაკი140 000 ლარად აყიდინეს და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადააცემინეს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2004 წლის 23 აპრილს, პროკურატურას, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებული ჰყავდა საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და მოთავსდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2004 წლის ივლისში, სულხან მოლაშვილის ძმას - თორნიკე მოლაშვილს დაუკავშირდნენ პროკურატურიდან და სულხან მოლაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის არასაპატიმრო ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ, მოსთხოვეს ქ. თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე ერთ-ერთი აგარაკის შეძენა და შემდგომში სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

მას შემდეგ, რაც სულხან მოლაშვილის ოჯახის წევრები: მისი ძმა თორნიკე მოლაშვილი და მისი მეუღლე თამთა ბახტურიძე დაარწმუნეს, რომ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, მოხდებოდა სულხან მოლაშვილის საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლება, ისინი იძულებულნი გახდნენ დათანხმებოდნენ ამ პირობის შესრულებას. ამ მიზნით, სულხან მოლაშვილის ოჯახის წევრებმა ბანკიდან აიღეს სესხი და შეთანხმებისამებრ, 2004 წლის 14 ივლისს, 140 000 ლარად შეიძინეს სოფელ წავკისში მდებარე აგარაკი, რომელიც იმავე დღეს, უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს. მიუხედავად სულხან მოლაშვილის ოჯახის წევრების მიერ მოთხოვნის შესრულებისა, მაინც არ მოხდა სულხან მოლაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლა და საპატიმრო დაწესებულებიდან მისი გათავისუფლება“, - აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სულხან მოლაშვილის მეუღლეს, თამთა ბახტურიძეს დაუბრუნდეს ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული მათი კუთვნილი ქონება - სოფელ წავკისში მდებარე აგარაკი.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, გახსნილია ქონების იძულებით ჩამორთმევის 47 ფაქტი, დაზარალებულად ცნობილია 84 მოქალაქე, რომელთაც დაუბრუნდათ და დაბრუნების პროცესშია 18 მილიონ ლარამდე ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.

გაუმჯობესებული წყალმომარაგება საზღვრისპირა სოფლებში

ანონსი

4 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში მედია ტური მოეწყო,რომელშიც მონაწილეობას იღებდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ადგილობრივი მაცხოვრებლები. გაცნობებთ, რომ 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმით არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“ ადგილობრივი თვითმართველობის ხელშეწყობით, ევროკავშირის დაფინანსებით, პარტნიორ ორგანიზაციებთან - საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია (სიქა) და რეგიონის განვითარების ცენტრთან (RDC) ერთად ახორციელებს პროექტს

„მიგრაციის მართვის გაუმჯობესება ეკოემიგრანტების ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაძლიერების გზით“. პროექტის ფარგლებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კომპონენტში სიდას მიერ 12 560 ლარის ფარგლებში და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით - 53 577 ლარით სოფელ სამთაწყაროში მოხდა წყალგაყვანილობის სისტემის მშენებლობა 14 უბანში, რის შედეგადაც სასმელი წყლის პრობლემა მოუგვარდა 635 ბენეფიციარს, ასევე შემოსავლების გენერირების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 13 პროექტი,შეიძინეს მოტობლოკები,ვაზის ნერგები, საკონდიტრო წარმოების, სამკერვალო სალონისა და სილამაზის სალონისთვის აღჭურვილობა,რითაც სარგებელი მიიღო 65 ბენეფიციარმა.

დღესვე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები, რაც ოფიციალური ხელმოწერით დადასტურდა ორივე მხრიდან.

„სოფელ სამთაწყაროში გაკეთდა ძალიან კარგი საქმე- მოხდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და სასმელი წყლის პრობლემა ადგილობრივ მცხოვრებლებს მოუგვარდა. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ჩვენ მადლობას ვუხდით ,, სიდას“ და მზაობას გამოვთქვამთ ნებისმიერ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაზე“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

P.S. **ამ საკითხთან დაკავშირებულ ვრცელ მასალას გაზეთ „შირაქის“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.**

ცენტრალური გზების რეაბილიტაცია

ქედების ზონასთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია გრძელდება. გასულ წლებში დაწყებული გზის აღდგენის საშვილიშვილო საქმე დასასრულს უახლოვდება. სარეაბილიტაციო სამუშაოები გეგმის მიხედვით მომავალ წელსაც გაგრძელდება.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ შირაქის ველზე მდებარე ცენტრალური გზის რეაბილიტაცია ერთადერთი არ არის, რომელიც ახლა მიმდინარეობს. მისივე განმარტებით, წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს ასევე სამთაწყარო-საბათლო-ფიროსმანის ცენტრალური გზის აღდგენა.

„სტერეოტიპებს ვარღვევთ, პროცესი არჩევნების დასრულების შემდეგ დაიწყო. 17 კმ გზა უკვე რეაბილიტირებული იყო, რომელიც 2014-15 წლებში დასრულდა და ახალი გზით მოსახლეობა უკვე სარგებლობს. გარდა ამისა, ეს გზა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ შირაქის ველზე გადის და ჩვენი რაიონის დოვლათის ტრანსპორტირებაში გვეხმარება. ამჯერად საგზაო დეპარტამენტმა გამოაცხადა ტენდერი და 2018 წლის მარტის თვემდე სრულად უნდა დასრულდეს და ქვემო ქედის მიმართულებით გზას შეუერთდეს. მოგეხსენებათ, არხილოსკალო-ქვემო ქედის 7 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი საკმაოდ მაღალი ხარისხით ჯერ კიდევ 2013 წელს გაკეთდა. ამ წლის ბოლომდე ცენტრალური გზის 6 კილომეტრიანი მონაკვეთის დასრულება მოხდება. შემდეგ უამინდობა შეგვაფერხებს. ცნობილია, რომ ზამთარში ტემპერატურის ვარდნასთან ერთად რეკომენდირებული არ არის გზების მოასფალტება, ამიტომ გაზაფხულიდან სამუშაოები ისევ განახლდება. გზის სრული რეაბილიტაცია და მისი მოვლა-პატრონობა კომპანია „სერპანტინმა“ მოიგო. საკმაოდ ეფექტური კომპანიაა, ხარისხიანად ასრულებს საამუშაოებს, მათ შორის მოვლა-პატრონობის დროს ხარვეზების აღმოფხვრას ოპერატიულად და ხარისხიანად ახდენენ. საკმაოდ ხშირად წმენდენ გზის ნაპირებსაც და კმაყოფილი ვართ მათი მუშაობით. ამ პროექტების შედეგად, სულ მალე, ჩვენ გვექნება ის ვითარება, რომ ე.წ. „ტრაქტორის“ გადასახვევიდან ქვემო ქედის ბოლომდე სრულიად ახალი გზა იმოქმედებს. გარდა ამისა, მინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ სამთაწყარო-საბათლო-ფიროსმანის დამაკავშირებელი 22 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია და დეკემბრის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ამის შემდეგ დედოფლისწყაროში აღარ იარსებებს სოფლებთან დამაკავშირებელი გზების პრობლემა, რაც საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია,“ - აღნიშნავს გამგებელი.

ილია მარტყოფლიშვილი

რა ფორმით არის შესაძლებელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ ავრცელებს ინფორმაციას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების ფორმების - აუქციონითა და პირდაპირი მიყიდვით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ.

– რა ფორმით არის შესაძლებელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება?

პასუხი: „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების ფორმებია:

1.აუქციონი

2.პირდაპირი მიყიდვა: პირდაპირი მიყიდვა შეიძლება განხორციელდეს კონკურენტული შერჩევის საფუძველზე ან იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის გზით.

– რას ნიშნავს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზება?

პასუხი: აუქციონზე ქონების განკარგვა წარმოადგენს ქონების გასხვისების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას, რომლის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით განკარგვა ხორციელდება ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის მეშვეობით, რის შესახებ ინფორმაცია განთავსდება სახელმწიფო ქონების განმკარგავი სუბიექტის ინტერნეტ გვერდზე: www.privatization.ge და ვებ-გვერდზე www.eauction.ge რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება.

ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ისეთ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც გამოიცემა არანაკლებ კვირაში ხუთჯერ და ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

– რა დოკუმენტებია წარმოსადგენი დაინტერესებული პირის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონზე შესაძენად?

პასუხი: დაინტერესებულმა პირმა განცხადებაში უნდა აღნიშნოს მის დაინტერესებაში არსებული ქონების ზუსტი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ან/და წარმოადგინოს აზომვითი ნახაზი.

იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევაში, დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან დაამზადონ და სამინისტროს წარმოუდგინონ მიწის (მიწების) ნაკვეთის დეტალური აზომვითი საკადასტრო ნახაზი (ნახაზები) და მათ მიერ მოკვლეული ინფორმაცია მიწის კატეგორიისა და ხარისხის თაობაზე.

– რა ფორმით და როგორ უნდა მიიღოს დაინტერესებულმა პირმა აუქციონში მონაწილეობა ? რა დროს ნახევრდება ქონების საწყისი ფასი აუქციონის განმეორებითი გამოცხადების შემთხვევაში?

პასუხი: სახელმწიფო ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება, როცა მისი შემძენი შესაძლებელია იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ან უცხო ქვეყნის ის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში რეგისტრირებული აქვს კერძო სამართლის იურიდიული პირი. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი უნდა დარეგისტრირდეს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.eauction.ge-ზე, სადაც შეგიძლიათ იხილოთ რეგისტრაციასთან და კონკრეტულ ლოტთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაცია.

თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი სახელმწიფო ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განიხილება, როგორც განმეორებითი აუქციონი. განმეორებით აუქციონზე სახელმწიფო ქონების საწყისი საფასური შეიძლება 50%-მდე შემცირდეს, ხოლო თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

– რა ვადაში უნდა იქნას გადახდილი აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქონების სრული საპრივატიზებო საფასური და რა ვადაში ახდენს სამინისტრო აუქციონში გამარჯვებულ პირთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას?

პასუხი: ქონების საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ ვადაში, რომელიც მითითებულია კონკრეტულ საპრივატიზებო ლოტზე.

აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება იდება აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას - შესაბამისი აქტის გამოცემიდან 3 თვის განმავლობაში.

სტუმარ-მასპინძლობა და სახალხო დიპლომატია

საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი აყალიბებდა ტრადიციებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას უკავია. თაობიდან თაობას გადაეცემოდა სტუმრის სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა, მასპინძლის ნდობა და მოვალეობა ტრადიციულ სუფრასთან. საბოლოოდ ქართულ თვისებებში ჩამოყალიბდა სტუმართმოყვარეობის კულტურა. სტუმრისათვის მიღებულია გამასპინძლება ყველაზე საუკეთესოთი, რაც გააჩნიათ. მუდმივად ასე იყო და დღესაც ასეა, რომ ქართველების სტუმართმოყვარეობას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნც ზღვა ემართოს სისხლისა“- ვაჟა-ფშაველას ეს სიტყვები ნათლად ადასტურებს, რომ „სტუმარი ღვთისაა“ და მასზე პატივისცემა გვმართებს. ქართულში გვაქვს ძველად დამკვიდრებული სიტყვა „სა-უცხოო“, რომელიც აღნიშნავს განსაკუთრებულს, ანუ ყველაფერი კარგი სტუმრისთვის ანუ უცხოსთვის გვინდოდა.

სტუმარ-მასპინძლის ინსტიტუტი საქართველოში იმდენად მძლავრი იყო, რომ ხანდახან სტუმრად მოსულ მტერსაც კი არაფერს შეჰკადრებდა ქართველი. ვაჟა-ფშაველას მშვენივრად აქვს აღწერილი ქართული სტუმართმოყვარეობა პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“. ტრადიციების და ადათ-წესების დაცვა ქართველთა უმთავრესი საზრუნავია. შესაძლოა, დღეს ბევრი რამე გადაფასდა, მაგრამ ჩვენი ერი კვლავ ერთგულად იცავს ამ ტრადიციას.

სწორედ სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩატარდა.

ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალმა ჰორიზონტმა“ კავკასიური სახლის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „ვაჟა - ფშაველას სტუმარ-მასპინძელი“ და კავკასიელი ხალხების სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე“.

ეს გახლდათ ორგანყოფილებიანი წარმოდგენა , რომელშიც მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონის“ ნორჩი მსახიობები და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. პროექტის მიზანი იყო, ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური და მაღალმხატვრული ღირებულების ნაწარმოების საშუალებით კავკასიის ხალხთა, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ტრადიციების სცენაზე გაცოცხლება, ურთიერთსიყვარულის, ტოლერანტობის და თანადგომის ღირებულებების ისტორიულ ასპექტში გააზრება და თანამედროვეთა ურთიერთობებსა თუ რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა ხელოვნების ენით, ამ ადამიანთა დამეგობრებისა და თანამშრომლობის პრეცედენტების შექმნა.

ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა, სპექტაკლის შემდეგ ახალგაზრდებმა გააცნეს საზოგადოებას კავკასიის ხალხთა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციები, რომლებიც საკმაოდ საინტერესოდ იყო მომზადებული.

კავკასიის სახლის წარმომადგენელმა მიხო ბეროშვილმა მადლობა გადაუხადა პროექტის ხელმძღვანელსა და მონაწილეებს მშვენიერი ღონისძიებისთვის. „ძალიან მიხარია, რომ ღონისძიებამ და განსაკუთრებით კი სპექტაკლმა კარგად ჩაიარა. ბავშვები შინაგანად განიცდიდნენ სპექტაკლის არსს. რაიონი ცოცხლობს და ეს ფაქტი აღსანიშნავია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგი იქნებოდა, თუ პოლიტიკოსები სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებს სახალხო დიპლომატიაში გამოიყენებდნენ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილურობის, მშვიდობის შესანარჩუნებლად კავკასიაში.“

ღონისძიების შემდეგ რეზიუმე გააკეთა პროექტის ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა. მან სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის არსი ახსნა და მის მნიშვნელობაზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, ეს ტრადიცია ფიზიკურისა და სულიერის სინთეზია, რომელიც ხალხთა შორის სიყვარულის, სიკეთის, მშვიდობის შენაჩუნებას ისახავს მიზნად. „ამან გადაარჩინა ქართველობა და დღეს, როცა ოცდამეერთე საუკუნეში, ჰუმანიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ, ძველი ტრადიციების გაზიარება და გათანამედროვება ნებისმიერი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება. ვაჟას პოემა ტოლერანტობის საუკეთესო მაგალითია და სახალხო დიპლომატიისთვის მშვენიერი სახელმძღვანელო“ - აღნიშნა მან.

სტუმართმოყვარეობა ტრადიციულ კავკასიურ სიქველედ ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ტოლერანტობა, შემწყნარებლობაც სიქველედ ითვლება და ვისაც არ ეზარება, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მრავალსაუკნოვან თანაცხოვრებას უმღერის დითირამბებს, მთელი კავკასია დღემდე ეთნიკური კონფლიქტების კერაა. ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები, ოსები და ინგუშები, ჩეჩნები და ინგუშები, სომხები და აზერბაიჯანელები ამ სისხლიანი კონფლიქტების მონაწილეები იყვნენ. ათიათასობით ადამიანი ამ კონფლიქტებს მსხვერპლად შეეწირა, ასიათასობით ადამიანი ლტოლვილი გახდა. აფხაზეთის ომის შემდეგ საქართველომ სხვადასხვა მონაცემებით ორასიდან სამას ათასამდე ლტოლვილი მიიღო. აფხაზებთან მოლაპარაკების ნებისმიერი მცდელობა პირდაპირ იქნება დამოკიდებული დევნილთა საკითხის გადაწყვეტაზე. კონფლიქტების მოგვარება კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეხედავს ნებისმიერი ორი მხარე ტოლერანტობის საკითხს- როგორც პოლიტიკოსთა ამბიციებს თუ როგორც ადამიანთა შორის მშვიდობის დამყარების მცდელობას?!

ინგა შიოლაშვილი

როგორ აღვზარდოთ ბავშვი დასჯის გარეშე

„არ შევჭამ...“, „არ დავიძინებ...“, ”არ ვიმეცადინებ” - ასეთი ფრაზები, ალბათ, ბევრი მშობლისთვის ნაცნობია.

ხშირად გიფიქრიათ, რომ თქვენი შვილი ჭირვეულია, თქვენ კი მასთან საერთო ენა ვერ გამონახეთ. როგორ უნდა ვესაუბროთ ბავშვებს. თქვენს კითხვებს **ფსიქოლოგი, პროფესორი, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი,** თეა გოგოტიშვილი **პასუხობს.**

თებროლე:

ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს ოჯახში. სამწუხაროდ, ეს ისეთი ფაქტია, რომ ამის დამალვა შეუძლებელია. შესაბამისად ბავშვს ასეთ გარემოში ყოფნა უწევს. არის 5 წლის. გვირჩიეთ, როგორ შეიძლება ამ სიტუაციაში ბავშვი სწორად ავღზარდოთ?

-თუ მშობელი თვლის, რომ ბავშვისთვის მატრამვირებელია ის გარემო პრობლემების თვალსაზრისით, რომელსაც ის ახსენებს და მშობლები თუ ვერ უმკლავდებიან ამ პრობლემებს და ხვდებიან, რომ ბავშვი ზიანდება, აქედან გამომდინარე. აქვე გეტყვით, რომ ეს პრობლემა არ უნდა დაიმალოს, ბავშვმა თავისთვის გასაგებ ენაზე უნდა იცოდეს, რაშია პრობლემა, დამალვა არ არის გამოსავალი და უკუშედეგის მომტანია. საუკეთესო ვარიანტი არის, რომ პრობლემის დაძლევაზე იყოს ორიენტირებული მშობელი. ის თუ დამოუკიდებლად ამას ვერ ახერხებს, უნდა მიმართოს სპეციალისტს. თუ ადამიანს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა და ჯანსაღი ცხოვრების წესს ვერ მისდევს, მან უნდა მიმართოს ექიმს. როცა არის პრობლემები ურთიერთობებში, ოჯახური სიტუაცია არის მძიმე, მატრამვირებელი, საჭიროა ფსიქოლოგთან, როგორც დამხმარე ინსტანციასთან მისვლა და მისი რესურსის გამოყენება.

ანა:

ვარ მარტოხელა დედა. მყავს 6 წლის შვილი. მაქვს დაძაბული სამუშაო გრაფიკი. სამწუხაროდ, შვილს დიდ დროს ვერ ვუთმობ, მართალია, დედას ვერავინ ჩაანაცვლებს, მაგრამ როგორ შევუქმნა შვილს სასიამოვნო და სახალისო განწყობა?

-აქ დროის რაოდენობა არ არის გადამწყვეტი, მნიშვნელოვანია ხარისხი. ურთიერთობის ხარისხზე ვსაუბრობთ ჩვენ და არა ერთ სივრცეში ყოფნის დროის ხანგრძლივობაზე.თუნდაც დღეში ორი საათი ან საათ ნახევარი, რომელიც ბავშვის დაძინებამდე ხერხდება, რომ დედამ შვილთან დაჰყოს, უნდა იყოს ურთიერთზემოქმედების პროცესზე ორიენტირებული. კონტაქტი არ არის ერთ სივრცეში ყოფნა,იგი ისეთი აქტივობაა, რომელიც ბავშვის ზეგავლენას გულისხმობს მშობელზე, ან დედის პოზიტიურ გავლენას ბავშვზე. უნდა იყოს ინტერაქტიური, ანუ ურთიერთგაცვლის პრინციპზე მიმართული კონტაქტი; ანუ კომუნიკაცია. ზოგადად რომ ვთქვათ, ბავშვისთვის, მისი ასაკიდან გამომდინარე, ყველაზე შესატყვისი აქტივობებია, რაც მას უყვარს, სიამოვნებს, რაც მის განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი შეიძლება იყოს, ერთად წიგნის კითხვა და რაღაც შინაარსის განხილვა, ხელოვნების ნიმუშების ერთად დათვალიერება და ამის მიმოხილვა. შეიძლება, რაღაც ერთობლივი თამაში, ან ერთად ხატვა, ან ძერწვა. გააჩნია ბავშვს რა ეხალისება, რას ითხოვს და უხარია, რომ გააკეთოს მშობელთან ერთად.

ოქროსფერი შემოდგომა ბავშვებთან

ბოლო ორი-სამი წელია, ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს რაიონშიც, სკოლამდელი აღზრდის გაჯანსაღება და ხელშეწყობა პრიორიტეტად იქცა. სკოლამდელი აღზრდის სამსახურის უფროსის მაია ყოჩიაშვილის დიდი ძალისხმევით და რაიონის ხელმძღვანელობის მხარშიდგომით საბავშვო ბაღების და ბაგების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჯერად ჩვენ ქ.დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღს (გომელაურის ქუჩა, ყოფილი მეტალურგების) ვსტუმრობთ.აქ დღეს 4-5 წლიანთა ჯგუფში შემოდგომის ზეიმი იმართება. **ვესაუბრებით ბაგა-ბაღის დირექტორს** მაია ფოცხვერაშვილს: – მართალია, დღეს ამინდი გამოსწორდა, მაგრამ წინა დღეების უამინდობამ და ნაადრევად მოსულმა თოვლმა საშემოდგომო ზეიმის ჩვენს ლამაზ ეზოში გრანდიოზულად ჩატარების იდეა ჩაშალა. ჩვენ დარბაზში გადავინაცვლეთ, იქ სათანადო გათბობაც გვაქვს და სხვა ყველა პირობაც, რომ მოწვეულ სტუმრებს, ბავშვების მშობლებს და ახლობლებს სიამოვნება მივანიჭოთ.

- მაია, დღეისთვის რამდენი ბავშვი გყავთ?

- 76 ბავშვი უკვე გვყავს. ისინი სამ ასაკობრივ ჯგუფში არიან გადანაწილებული, კიდევ რამდენიმე მშობლის განცხადება გვაქვს, რომელთა შვილებსაც ამ პერიოდში სავალდებულო ორი წელი უსრულდებათ. შესაძლებლობა კი უფრო მეტი ბავშვის მომსახურებისთვისაც გვაქვს, თუ მსურველები იქნებიან.

-პირობები როგორია?

-სულ რამდენიმე წლის წინ ამაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. მუქნაცრისფერ ფერებში ჩამკვდარი, გაურემონტებელი, გაუთბობელი და მოუვლელი შენობა, გაუმართავი და მოუწესრიგებელი სველი წერტილები, მოძველებული დგამ-ავეჯი, ჭურჭელი და საძინებელი მოწყობილობა პერსპექტივის იმედს ნაკლებად იძლეოდა, მაგრამ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის და სკოლამდელი აღზრდის სამსახურის ახლადდანიშნული უფროსის მაია ყოჩიაშვილის მონდომებით დაუძლეველი სიძნელეები დაიძლია: დღეს ჩვენ სრულიად განსხვავებული საბავშვო დაწესებულება გვაქვს, ბავშვებისთვის სხვადასხვა ფერებში გარემონტებული შენობა, ახალი დგამ-ავეჯით, საძინებელი გარნიტურებით, ფარდებით, როგორც გასართობი ასევე შემეცნებითი ხასიათის სათამაშოების დიდი ასორტიმენტით ყველა პირობა გვაქვს შექმნილი, იმისთის, რომ მაქსიმუმი გავაკეთოთ ჩვენი ბავშვებისთვის.

-კვების რაციონი დამაკმაყოფილებელია?

-საუკეთესო, წელს პირველად, ხელშეკრულების საფუძველზე, გამარჯვების ხორცკომბინატის (დირექტორი ვაჟა ნატროშვილი) მიერ მოწოდებული იმ დღით დაკლული საქონლის ხორცით კვირაში ორჯერ ვუმასპინძლდებით ჩვენს პატარებს. გვაქვს რძის ნაწარმი: ყველი, ხაჭო, არაჟანი, ტკბილეული, ბურღულეული, ბოსტნეული. იანვრის თვიდან ჩვენს რაციონს თევზიც დაემატება, მადლობა ღმერთს, წარსულს ჩაბარდა გაყინული ბარკლებით მომზადებული წვნიანები და კანკარა სუპები. რაც შეეხება ჭურჭელს და სამზარეულოს მოწყობილობას, სრულიად განახლებული და უმაღლესი დონისაა. დიდ მაცივარში შენახული, კონტეინერებში დაფასოებული პროდუქტი, დაბინძურებისა და დაძველებისაგან მაქსიმალურად დაცულია, კიდევ ერთხელ განვმეორდები და მადლობას გადავუხდი ჩვენს ხელმძღვანელობას.

აქვე აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ მიმდინარე წელს მოხდა ჩვენი შენობის საძირკვლის საფუძვლიანი გამყარება, გაკეთდა ფილებით მოპირკეთებული ეზოში შემოსასვლელი საცალფეხო ბილიკი. თუმცა, სათხოვნელი მაინც დაგვრჩა ეზოს გარკვეული ნაწილის მოასფალტება და ჩვენი მშვენიერი, დიდრონი და მრავალწლიანი ხეებით გარშემორტყმული ეზოს კოინდარით მოპირკეთება.

ჩვენ ჩვენი ეზოც ძალიან ლამაზი გვაქვს და ბავშვებისთვის აქ ჯანსაღი გარემო და სუფთა ჰაერია, მაგრამ გაზაფხულზე ეზოზე მიბმით გაკეთებულმა სპორტულმა და ბავშვთა გასართობმა მოედნებმა კიდევ უფრო გააუმჯობესა ჩვენი მდგომარეობა ბავშვთა ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის კუთხით. დღის განმავლობაში ჩვენ ამ მოედნებს აქტიურად ვიყენებთ, საღამოს კი აქ თავს იყრიან ამ მხარეში მცხოვრები ბავშვები და მოზარდები, კარგად ერთობიან და ჯანმრთელი ცხოვრების წესითაც იზრდებიან, რაც ძალიან კარგია, ყველა უაღრესად კმაყოფილი ვართ.

-ძვირფასო მკითხველო, ახლა კი სააქტო დარბაზში გადავინაცვლოთ და ვნახოთ ზეიმი, რა მიზეზითაც დღეს ამ ბაღს ვეწვიეთ. დარბაზში თავი მოუყრიათ აღსაზრდელთა მშობლებს, ახლობლებს, სხვადასხვა ბაღიდან მოწვეულ სტუმრებს და ამ ბაღის „კურსდამთავრებულებსაც“ კი. დარბაზი საშემოდგომო ფერებითაა მორთული: დარბაზის ცენტრში აღმართულ ჯვარზე, ვაზთან ერთად, შემოდგომის ხილია ასხმული. თავს იწონებენ წითელლოყება ვაშლები, დაბრაწული ბროწეულები, ჩაშაქრული ყურძენი თუ კარალიოკი, იქეთ წამოწოლილ ქვევრზე აკიდო შემოკონწიალებულა, აქეთ გოგრები გაგორებულან წითელყვითლად აელვარებულ შემოდგომის ფოთლებზე.

ისმის მუსიკა და თეთრ სამოსში გამოპრანჭული გოგონები, ჩოხებსა და კინტოს ფორმებში გამოწყობილი ვაჟები მწკრივად შემოდიან დარბაზში. სტუმრებს ესალმება და ზეიმს გახსნილად აცხადებს გიგა პოპიაშვილი და ასპარეზზე თანატოლებს მოუხმობს. პროგრამა მრავალფეროვანია, მრავლად არის შემეცნებითი ხასიათის კითხვები, რომელსაც ზეიმის „დირიჟორი“, ჯგუფის აღმზრდელი ნანა სეხნიაშვილი, მუსიკის მასწავლებელ ხათუნა ჯანაშვილთან, თანაშემწე ხათუნა მენთეშაშვილთან და ძიძა ნინო ღორაშვილთან ერთად უძღვება. ბავშვები კი ერთხმად, ანდა ცალ-ცალკე პასუხობენ, რომ ახლა შემოდგომაა, რომ ენკენისთვე, ღვინობისთვე და გიორგობისთვე შემოდგომის თვეებია, რომ ჩვენ კახეთში ვცხოვრობთ და კახეთში შემოდგომა რთველთან ასოცირდება, რომ ჩვენი დედაქალაქი თბილისია და ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველოა, ამიტომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს სწორედ წმინდა მარიამის ხატს ავედრებენ და სანთელსაც უნთებენ. იციან, რომ სოფლის შენებას სამი რამ -სიკეთე, გამტანობა და თანადგომა სჭირდება. ცეკვა, სიმღერა, ლექსი, სკეტჩი თუ ცნობილი პერსონაჟების მობრძანება ზეიმს მრავალფეროვანს ხდის, აქ არიან სოფლიდან ძღვენით ხელდამშვენებული ზაქრო პაპა და მარო ბებო, თელავიდან „ჩამოსულა“ შავგოგია თავის მაროსთან, მათე ბიჭთან და ამქართან ერთად, ცეკვავენ ცანგალა და გოგონა და ყარაჩოხელები თავის ბანოვანებთან ერთად. სრულდება ქალ-ვაჟის სატრფიალო კდემამოსილი ცეკვა „ქართული“ და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი ლექსი და მხატვრულად წარმოთქმული სადიდებელი ხვავიან-ბარაქიანი შემოდგომისა. ლაღობენ და დამსწრეთ თავს აწონებენ ანა და ანანო, გიგა და მარიამი, თათია და ნანა, თამუნა და იულია, ალინა და ანასტასია, ლიზი და გვანცა, სანდრო, ირაკლი და ანა, ორი ბარბარე, ორი ნინო, ორი დათუნა, სამი გიორგი და სამიც ლუკა. მათი ზეიმის კულმინაცია კი, თუხთუხა თათარა და მასში ამოვლებული ჩურჩხელებია. ეს ზეიმი დამთავრდა, ის უკვე წარსულია, ახლა საახალწლო ზეიმისთვის მზადება დაიწყება, მომავალ შეხვედრამდე, ჩემო ლამაზო გოგო–ბიჭებო, იყავით ბედნიერები!

ნაირა გორაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ბულინგის თემაზე მასწავლებლების გადამზადებას იწყებს

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ბულინგის თემაზე სამოქალაქო განათლების მასწავლებლების გადამზადებას იწყებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, ტრენინგის მონაწილეებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ როგორც ბულინგის გამომწვევ მიზეზებსა და სახეებს, ისე ოჯახური ძალადობის ფორმებს, სტიგმასა და სტერეოტიპული აზროვნების გავლენას ძალადობასა და ბულინგზე; ეფექტური კომუნიკაციის, კონფლიქტის მოგვარების გზებს ბულინგის პრევენციისთვის; ტოლერანტობის კულტურის მნიშვნელობას; როგორ ავირიდოთ ძალადობა და ბულინგი სკოლაში; რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა მოსწავლეებში ბულინგისა და ძალადობის თავიდან ასაცილებლად; გარდა ამისა, გაეცნობიან ალბერტ ბანდურას სოციალურ-კოგნიტური თეორიის ზოგად პრინციპებს.

მოდულის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ტრენინგის მონაწილე მიიღებს 1.5 კრედიტს. ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ 10 ნოემბრის ჩათვლით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

ახალი პარლამენტი კვლავ თბილისს და ქუთაისს შორის

ახალი პარლამენტის შეკრების თარიღი ცესკოს მიერ არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების მიხედვით დაზუსტდება და პირველი სხდომა, არაუგვიანეს, 19 ნოემბერს გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ მეცხრე მოწვევის პარლამენტის პლენარული სხდომები კვლავ ქუთაისში გაიმართება და თანაც, პრემიერ-მინისტრის დაპირების თანახმად, პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი აღარ გადაიხედება რამდენიმე წლის განმავლობაში. რატომ დაკარგა აქტუალობა პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხმა?

„ქართული ოცნება“ — 115 დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობა“ — 27 დეპუტატი, „პატრიოტთა ალიანსი“ — 6 დეპუტატი და კიდევ 2 —დამოუკიდებელი დეპუტატი — ამ ეტაპზე ცესკოში არსებული მონაცემებით, მე-9 მოწვევის პარლამენტს სწორედ ასეთი შემადგენლობა ექნება. პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი კახიანის გამოთვლით, პარლამენტის პირველი სხდომის გამართვა მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების საბოლოო, შემაჯამებელ ოქმს გამოაქვეყნებს:

„მოგეხსენებათ, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამისათვის აქვს (არჩევნების) მეორე ტურიდან, მაქსიმუმ, 19 დღე და მეორე ტურის შემდგომ, არაუგვიანეს 20 დღისა, უნდა ჩატარდეს პარლამენტის პლენარული სხდომა... ცენტრალური საარჩევნო კომისია დამოკიდებულია საჩივრების მსვლელობაზე. 1 ნოემბერს დასრულდა მეორე ტურის შემდეგ გასაჩივრების ვადა და 260-მდე საჩივარია აღრიცხული. ამ საჩივრებს თავისი განხილვის წესი აქვთ, ისინი, შესაძლოა, სასამართლოში გასაჩივრდეს და ასე შემდეგ — ყველაფერი ეს გარკვეულ ვადასთან არის დაკავშირებული... თუ მოხდა ისე, რომ ჩვენ მოგვიწია მეოცე დღეს შეხვედრა, ეს იქნება 19 ნოემბერი — შაბათი დღე“.

გიორგი კახიანი ახალი პარლამენტის ამოქმედებას რაც შეიძლება სწრაფად ისურვებდა, რადგანაც — ახალი მთავრობის დამტკიცების საკითხის გარდა, მისი თქმით, სასწრაფო ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი, რომლის მიღებასაც უკვე ველარ შეძლებს მერვე მოწვევის პარლამენტი. კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, არჩევნების მეორე ტურის გამო, პროცესმა მეტი დრო მოითხოვა და გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზებიც გამოავლინა, ბიუჯეტის შესახებ კანონის დამტკიცების ვადების მიმართ.

ასეა თუ ისე, პარლამენტის პირველი სხდომა, რომელსაც პრეზიდენტი გახსნის, აუცილებლად ისევ ქუთაისში გაიმართება — დღეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად. მართალია, „ქართულ ოცნებას“ ახალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება და საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება არ გაუჭირდება, ფაქტია, რომ მმართველ პარტიას ძველებური სურვილი აღარ ამოძრავებს პარლამენტის მთლიანად თბილისში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. ეს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმაც აღნიშნა 29 ოქტომბერს ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში:

„...რამდენიმე წელი მაქვს მხედველობაში, — არავითარ შემთხვევაში არ დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში და მინდა ვთქვა, რომ დღეს არის საშუალება, საკომიტეტო მუშაობა გაიმართოს თბილისში - უკვე განახლებულ პარლამენტის შენობაში... ამიტომ, ვფიქრობ, რომ პლენარული სხდომების ქუთაისში გამართვა არანაირ პრობლემას არ ქმნის. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი არ უნდა იყოს აქტივიზირებული უახლოეს მომავალში, რამდენიმე წელიწადში... თუ რაიმე ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, აუცილებლად უნდა იქნას ქუთაისის მოსახლეობასთან ეს საკითხი ძალიან აქტიურად განხილული და მიღებული მათგან თანხმობა“.

რატომ აღარ გამოხატავს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ძველებურ მონდომებას პარლამენტის თბილისში დაბრუნების თემასთან დაკავშირებით?

როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი ალიკა კუპრავა აღნიშნავს, შესაძლოა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იმერეთის რეგიონის და, კერძოდ — ქუთაისის მკვიდრთა გაღიზიანებას ერიდება, ანდა, მართლაც, სათანადოდ შეაფასა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც რეგიონმა მიიღო საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის ქუთაისისთვის მინიჭებით. თუმცა, ანალიტიკოსი სავარაუდო პოლიტიკურ შემადგენელზეც საუბრობს, რომელიც შეიძლება, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამაც გაითავისა და ხელსაყრელად მიიჩნია:

„...ყველა საპროტესტო მანიფესტაცია, რომელიც წარსულში ჩატარებულა, იმართებოდა ხოლმე რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობასთან, რადგანაც პროტესტის ეპიცენტრი, ხშირ შემთხვევაში, იყო რუსთაველის გამზირი და შესაძლოა, ამ მიმართულებაზეც იყოს (ხელისუფლების) გათვლა, რომ დედაქალაქიდან პარლამენტის გადატანა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ პროტესტი იქ, თუნდაც ხალხის შეკრების თვალსაზრისით, შეიძლება იყოს პრობლემური“.

პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხის მიმართ „ქართული ოცნების“ ერთ დროს ძალიან დიდი ინტერესის შესუსტებას ამ თემის მარგინალიზებით ხსნის კონსტიტუციონალისტი კოტე ჩოკორაია. ამასთანავე, რადიო თავისუფლებასთან საუბრისას ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ — შესაძლოა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს უკეთ დაინახეს ქუთაისელების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და ამიტომაც აიღეს ხელი განზრახვაზე.

ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში: ყოფილ რესპუბლიკელთა განსხვავებული გეგმები

სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ლიდერთა ნაწილის მიერ რესპუბლიკური პარტიის დატოვების პროცესი ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე არსებულმა უთანხმოებამ განაპირობა და ასევე დიდი როლი ითამაშა არჩევნების არასახარბიელო შედეგებმა. თუმცა ერთგვაროვანი პოზიცია არც პარტიიდან წამოსულებს აქვთ: თუკი, მაგალითად, ჯერ ისევ მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ოპოზიციურ პოლიტიკურ ველზე აპირებს მოღვაწეობას, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი სიმპათიებს კვლავაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მისამართით ამჟღავნებს.

როგორც 1 ნოემბერს გაირკვა, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა რესპუბლიკური პარტიის დატოვების გადაწყვეტილება თითქმის სამი კვირის წინ მიიღო. მართალია, თანაპარტიელებთან უთანხმოებისა და დაპირისპირების დეტალებს არ ასახელებს, მაგრამ სამშაბათის პრესკონფერენციაზე პაატა ზაქარეიშვილის მიერ გაკეთებული კომენტარებიდან ბევრი რამ ხდება ნათელი და მათ შორის ისიც, რომ — პრინციპულმა პრობლემებმა არჩევნებამდე იჩინა თავი. ირკვევა, რომ ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, იმთავითვე, მცდარ პოლიტიკად თვლიდა „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებას, რაც, მისი აზრით, ადეკვატურად აისახა კიდეც არჩევნების შედეგებზე:

„ჩემი პოზიცია იყო, რომ ბოლომდე უნდა ვყოფილიყავით ხელისუფლებაში და ყველა პრობლემა, რომელიც იყო პარტიის წინაშე ანდა პარტია თვლიდა სახელმწიფოს პრობლემად, უნდა ყოფილიყო შიგნით განხილული და, პრაქტიკულად, მინიმუმამდე უნდა ყოფილიყო დაყვანილი გარეთ გამოტანა... სამწუხაროდ, არჩევნების შედეგები აღმოჩნდა სავალალო და კატასტროფულიც. კი არ წაგვიგია არჩევნები, არამედ — კრახი განვიცადეთ... აღმოჩნდა, რომ ჩემი პოზიციები უფრო სწორი იყო... ამ დაპირისპირებითა და ამ ვითომ ოპოზიციონერობით საზოგადოება დავაბნიეთ საერთოდ“.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ყოფილი თანაპარტიელისგან — ამჟამადაც გარემოს დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილისგან — განსხვავებით, პაატა ზაქარეიშვილმა, ყოფილ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელთან ერთად (2016 წლის ზაფხულში) დატოვა საქართველოს მთავრობა, აშკარაა, რომ მას გული ახლაც სწორედ „ქართული ოცნების“ მთავრობისკენ მიუწევს. სამშაბათის პრესკონფერენციაზე პაატა ზაქარეიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ, მართალია, მან ახლო წარსულში უარი თქვა „საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე“, მაგრამ მზად არის განიხილოს სხვა წინადადებებიც, რადგანაც ის სავსებით შესაძლებლად თვლის თანამშრომლობას ისეთ „ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან“, როგორიც არის „ქართული ოცნება“.

ასეთი განწყობების პირობებში, პაატა ზაქარეიშვილს, სავარაუდოდ, ვერ ვიხილავთ დავით უსუფაშვილის სიახლოვეს, რადგანაც პარლამენტის ჯერ ისევ მოქმედი თავმჯდომარე, რესპუბლიკური პარტიის ყოფილი წევრი დავით უსუფაშვილი, როგორც თავად ამბობს, ოპოზიციურ პოლიტიკურ ველზე აპირებს მოქმედებას და, როგორც ჩანს, თანამოაზრეებსაც ოპოზიციურად განწყობილთა შორის მოძებნის. არსებობს ვარაუდი, რომ, შესაძლოა, უსუფაშვილის გვერდით ვიხილოთ რესპუბლიკური პარტიის აწ უკვე ყოფილი წევრები, მაგალითად: თინა ხიდაშელი, ვახტანგ ხმალაძე, ფრიდონ საყვარელიძე თუ თემურ ნერგაძე.

უკანასკნელ დღეებში გაჩენილი უამრავი კითხვის ნიშნის ფონზე, თანდათან ირკვევა, რომ რესპუბლიკურ პარტიაში დარჩენილები პარტიიდან წასულებს — თავის დროზე, უფრო პრინციპული პოზიციების გამოხატვას სთხოვდნენ. დეტალები არც ამ შემთხვევაში კონკრეტდება, მაგრამ უთანხმოება, გარკვეულწილად, ხელისუფლებასთან ოპონირების ხარისხს რომ უკავშირდებოდა, ეს რესპუბლიკური პარტიის წევრის, დავით ზურაბიშვილის სატელევიზიო კომენტარიდანაც ჩანს:

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ, ნამდვილად, კოალიციაში ასე დიდხანს ყოფნა და ერთგვარი შეზრდა კოალიციასთან, ერთგვარი ასოცირება რესპუბლიკური პარტიისა „ქართულ ოცნებასთან“ გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ამომრჩეველმა ვერ დაგვინახა საერთოდ და ვერ აღგვიქვა ოპოზიციურ ძალად... ვფიქრობ, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. შესაძლოა, ვინმეს რაღაც სხვა მოსაზრებებიც ჰქონდეს და სხვანაირად ფიქრობდეს — ყოფილა ამის თაობაზე დისკუსიები ჩვენთან პარტიაში, მაგრამ ადრე არ მისულა განხეთქილებამდე... დღეს ვინ, რატომ, რა მიზეზით (გადადგა ესა თუ ის ნაბიჯი) — ეს ჯობია თავად მათ ჰკითხოთ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ოპოზიციური ძალა“.

წევრების გადინების პროცესს, რომელიც „თავისუფალი დემოკრატების“ ან „რესპუბლიკური პარტიის“ რიგებში იკვეთება, არჩევნების არადამაკმაყოფილებელი შედეგებით ხსნის „საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის” დამფუძნებელი გია ხუხაშვილი და როგორც მან უთხრა რადიო თავისუფლებას, წაგებული არჩევნები დიდი სტრესი აღმოჩნდა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლობისთვის და ყველა თავისებურად უმკლავდება ამ სტრესს. თუმცა, ამ პროცესში, — ყველაზე მიუღებელად გამოიყურება ის, ვინც ნაბიჯების გადადგმას ხელისუფლებისკენ ცდილობს:

„ახლა, როდესაც პოსტსაარჩევნო პერიოდში უცებ შენ აცხადებ: მე ვარ მეხოტბე ხელისუფლების, მაშინაც ვიყავი, არ ვეთანხმებოდი (მასთან დაპირისპირებას) და ახლაც მზად ვარ, რომ ქვეყანას ვემსახურო და თანამდებობა მომეცით — ეს გამოიყურება ძალიან ცუდად და არადამაჯერებლად... ნუ, რა თქმა უნდა, ისევე როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ მთელი პოლიტიკური ელიტა გაიქცა პარტიიდან და ნაწილმა მეორე დღესვე შესთავაზა თავისი სერვისები ხელისუფლებას... თუ შენ ასე თვლი, მაშინ (არჩევნებამდეც) არ უნდა იყო ოპოზიციაში და უნდა იყო გულწრფელი“.

გია ხუხაშვილის შთაბეჭდილებით, არჩევნების შედეგად, ოპოზიციური ფლანგი მთლიანად მოსუფთავდა და „ქართული ოცნების“ არაპირდაპირი ხელშეწყობით, ამ ველზე დარჩა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“. ანალიტიკოსი თვლის, რომ, მართალია, ეს ორი პარტია მწვავედ დაპირისპირებული ძალებია, მაგრამ მათ ერთმანეთთან სიმბიოზური დამოკიდებულება აქვთ.

რიტუალური მკვლელობის შემზარავი დეტალები

შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისში მომხდარი საზარელი მკვლელობის დეტალებზე განცხადებას ავრცელებს.

"შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ირმა ყ., 1993 წელს დაბადებული ბექა შ. და 1999 წელს დაბადებული ნინა ჩ. დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ხოლო 1994 წელს დაბადებული ავთანდილ ა. და 1993 წელს დაბადებული დათა კ. - ამავე მკვლელობის შეუტყობინებლობისა და დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სამმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, რასაც წინ უძღოდა დედა-შვილს: ირმა ყ.-სა და ლუბა ყ.-ს შორის წარმოქმნილი უთანხმოება და დაპირისპირება, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე კორპუსის საცხოვრებელ ბინაში, ამავე მისამართზე მცხოვრები, ბრალდებულ ირმა ყ.-ს დედა - 1940 წელს დაბადებული ლუბა ყ. ჯერ ელექტროშოკით გათიშეს, ხოლო შემდგომ - გაგუდეს და დანის დარტყმით მოკლეს. ბრალდებულებმა გარდაცვლილი ლუბა ყ.-ს ცხედარი დიდი ზომის ჩანთაში მოათავსეს და თბილისში, ბექა შ.-ს ნაქირავებ ბინაში გადაიტანეს, სადაც გვამი დაანაწევრეს.

იმავე საღამოს, დაბინდების შემდგომ, ბრალდებულებმა დანაწევრებული გვამი ორი ჩანთის მეშვეობით გლდანის N8 საპყრობილის მიმდებარედ არსებულ გაუქმებულ ნაგავსაყრელზე გადაიტანეს, წინასწარ, მოცემული დანაშაულის ჩადენის მიზნით შეძენილი ბენზინი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და კვალის დასაფარად, თხრილში დაწვეს.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დროს მოხდა მკვლელობის, გვამის დანაწევრებისა და დაწვის ადგილების დათვალიერება, საიდანაც ამოიღეს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, დაიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა არაერთი და მათ შორის, გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზა, ამოღებულია ვიდეოჩანაწერები და სხვა.

სამართალდამცველების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნანახი და ამოღებული გვამის ფრაგმენტები ეკუთვნის გარდაცვლილ ლუბა ყ.-ს, რომელიც საქართველოს შს სამინისტროს მიერ, ოჯახის წევრის განაცხადის საფუძველზე, 2016 წლის 19 ოქტომბრიდან იძებნებოდა, როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგული.

გამოძიებით დადგინდა, რომ ეს იყო რიტუალური მკვლელობა.

აღნიშნულ საქმეზე განზრახ დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობისთვის დაკავებულ ბრალდებულთაგან ორი - ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მესამე ბრალდებული, არასრულწლოვანი ნინა ჩ. დუმილის უფლებას იყენებს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, დანაშაულის დაფარვისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 375-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს", - ნათქვამია განცხადებაში.

პოლიციამ ზვარეში სხეულის დაზიანების ბრალდებით ჩინეთის სამი მოქალაქე დააკავა

პოლიციამ სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით, ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამი მოქალაქე: 33 წლის ჭ. ლ., ჩ.ჟ და 32 წლის ჰ.ჩ დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებმა 3 ნოემბერს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საქართველოს 4 მოქალაქეს ბლაგვი საგნით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

2 ნოემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში, ორ ადგილობრივ მოსახლეს, რომლებიც სოფელში შეშას ეზიდებოდნენ, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს" თანამშომლებმა გზა გადაუკეტეს და უთხრეს, რომ ადგილობრივებმა შეშა კომპანიის ტერიტორიიდან მოიპარეს. ზვარეში მცხოვრებლებმა მათ უპასუხეს, რომ შეშა არ მოუპარავთ, ტყიდან მოჰქონდათ. შელაპარაკების დროს, კომპანიის წარმომადგენლები ადგილობრივებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, იყენებდნენ ცივ იარაღს. ინციდენტს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს" დასაქმებული ორი მუშა შეესწრო. კომპანიის წარმომადგენლებმა მუშებიც ცემეს. ოთხივე მათგანი იმავე საღამოს საავადმყოფოში სხეულის სხვადასხვა დაზიანებით გადაიყვანეს.

ივანე ნაზარეთიანი

რა საშინელი თარიღია ჩვენთვის 7 ნოემბერი, შვილო! ამ დღეს შენ სამუდამოდ დაგვტოვე შენი ოჯახის წევრები, რომლებიც შენი ქორწილისთვის ვემზადებოდით და შენი შვილების დაზრდაზე ოცნებობდით. მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ 32 წლის ასაკში გამოგვაცალა ხელიდან შენი მჩქეფარე, ლაღი სიცოცხლე.

როგორი თბილი და ყურადღებიანი იყავი , როგორ თანაუგრძნობდი ყველას.

მანქანა რომ იყიდე, მარტო იმას ცდილობდი, როგორ დახმარებოდი მეზობლებსა თუ თანასოფლელებს, ნებისმიერ დროს უანგაროდ და დაუზარელად ემსახურებოდი ყველას, ვისაც სადმე წაყვანა თუ მოყვანა დასჭირვებია. ჩვენ კი ასე გვეხუმრებოდი: „სულ რომ სიკეთის კეთებას მიჩჩინებდით, იმიტომაც ვარ ასეთიო, ან როგორ გავაწბილო ის, ვისაც მე იმედად ვეგულებიო". ნეტავ ასეთი კარგიც არ ყოფილიყავი, მაშინ ალბათ დიდხანს იქნებოდი ამ წუთისოფელში და ღმერთი თავისთან არ წაგიყვანდა! უფალს ებარებოდე, ჩვენო სიცოცხლით გაუმაძღარო შვილო!

უკვე ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ გვკლავს შენი მონატრება, რომელსაც დრო სულ უფრო ამძაფრებს.

დედა, მამა, ძმა, მამიდები და ბიცოლები

ცამოწმენდილზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი მოულოდნელი სიკვდილი ჩვენთვის. ამიტომ 7 ნოემბერი აღარავის გვიყვარს.

როგორ დაგვზაფრა შენი მეგობრები ერთი წლის წინ შენმა უეცარმა და თავზარდამცემმა სიკვდილმა. რა ეშველება იმ ტკივილსა და სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დატოვე შენს საძმაკაცოში.

როგორი სამაგალითო და სტიმულის მომცემი იყავი ყველასთვის, სიკეთის გაკეთება გეჩქარებოდა, თითქოს გრძნობდი, რომ ნაადრევად დატოვებდი ამ წუთისოფელს და ეშურებოდი...

ჩვენც კარგად ვხედავდით, რა დიდი და ოქროს გულის პატრონი იყავი. ყველასთვის შეუცვლელი მეგობარი, ყველას შენი იმედი გვქონდა...

სანამ ჩვენ ვიცოცხლებთ, შენს სახელსა და ხსოვნას დავიწყება არ უწერია, რადგან შენნაირი ადამიანები მართლაც იშვიათობაა.

უკვე ერთი წელია, სამეგობროს შეხვედრის ადგილად შენი სამუდამო განსვენების ადგილი-სასაფლაო იქცა.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს, ძმაო!

შენი სამეგობრო.

მონატრება

სურენა და სირანა კოხტაშვილები



მეოცე ღვინობისთვე გავიდა უშენოდ საყვარელო მამა, დაიწმინდა კამკამა ქარვისფერი ღვინოც, თასს დიდრონი მარჯვენით რომ ასწევდი და ოჯახისა და სამშობლოს სადიდებელს ლოცვასავით აღუვლენდი უფალს. 27 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, გულისტკივილით და მონატრებით მოგილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს, სანთელს აგინეთებთ და ვილოცებთ შენი ნათელი სულისათვის. მოულოდნელად დაგვტოვე და მარადისობაში გადაინაცვლე, არადა, როგორ გინდოდა სიცოცხლე, რომ შენს ოჯახში, შვილებში, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გაგეხარა, მაგრამ სიკვდილმა არ დაგინდო.

ჩვენო ამაგიანო ბებიავ, შენც წახვედი და დაგვტოვე უკვე ცხრა წელია, წახვედი შენს საყვარელ და ერთადერთ შვილთან, თქვენი ამაგი, სიკეთე და სიყვარული ყველას გვახსოვს. ისე არ გაივლის დღე, რომ არ გაგიხსენოთ. ახსოვხართ თქვენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს. დრომ ვერ გაანელა თქვენი წასვლით გამოწვეული ტკივილი, რამდენი სიხარული გვეწვია, მაგრამ ამ სიხარულს მხოლოდ თქვენს სამარესთან მოსულები გიზიარებთ ჩუმი მონატრებით. თქვენთან არის პატარა მარიამი, გაუფრთხილდით და გაზარდეთ.

თქვენს სახელს ყველა ვუფრთხილდებით, თქვენი სიყვარული, თქვენი მეუღის(რძლის), შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების გულში არასოდეს განელდება, გვახსოვხართ და გვენატრებით, ილოცეთ თქვენი ოჯახისათვის. იძინეთ მშვიდად, ნათლში იყოს თქვენი სული.

თქვენი ოჯახი.

ელიას მონასტერი კლდიდან ჩამოვარდნილმა დიდმა ლოდმა დააზიანა

წინასწარმეტყველ ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში მოღვაწე ბერები დახმარებას ითხოვენ. კლდეზე შეფენილ მონასტერს, რომელიც ბოლო ხანს თავისი უნიკალურობით დედოფლისწყაროს სავიზიტო ბარათად იქცა, კლდიდან მოწყვეტილი უზარმაზარი ლოდი დაეცა. დაზიანებულია შენობის ნაწილი. დიდი ზომის ნაპრალები გაუჩნდა შესასვლელ თაღს და სამრეკლოს ნაწილს. უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე ამ დრომდე შეჩერებულია წირვა-ლოცვა. მოსახლეობას ტაძართან მიახლოვება აკრძალული აქვს. პოლიციის მიერ ამკრძალავი ლენტითაა გადაკეტილი გზა. მეექვსე საუკუნის ძეგლი დამთვალიერებელს ვეღარ იღებს.

მონასტერში მცხოვრები ბერები იხსენებენ, რომ მცირე ზომის ქვების შლა სხვა დროსაც შეინიშნებოდა, თუმცა ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

„უამინდობა იყო და ჩვენ ძირითადად კელიებში ვართ ხოლმე, მონასტერი დაკეტილია და თუ მომლოცველები მოვლენ, გასაღებს გავატანთ, მაღლა ადიან და დაათვალიერებენ ხოლმე. ამჯერადაც ჩვენ არანაირი ხმაური არ გაგვიგია, მომლოცველები დაბრუნდნენ და მათ გვაცნობეს, რომ ქვები ჩამოცვივდაო. არ გვეგონა ამდენად სერიოზული შემთხვევა თუ იქნებოდა. მცირე ზომის ქვებს ველოდით მაგრამ, რომ ავედით ეს სურათი დაგვხვდა," – იხსენებენ მომხდარს კელიაში მცხოვრები მორჩილები.

ადგილზე ვითარების შესასწავლად უკვე იმყოფებოდნენ კულტურის სამინისტროს და ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები. უახლოეს დღეებში ძეგლთა დაცვის სპეციალისტებსაც ელოდებიან. სამინისტროში ამბობენ, რომ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ.

მომხდარის შემდეგ გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა ელიას მთის ჩამოშლა დედოფლისწყაროში კალციტის მოსაპოვებლად მიმდინარე აფეთქებებს და ვიბრაციას გამოეწვია. ამავე ვერსიაზე საუბრობდნენ მორჩილებიც. თუმცა, დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ძეგლთა დაცვის სპეციალისტი სერგო ქართველიშვილი ამ ვერსიას არ ეთანხმება. ქართველიშვილი გაზეთ „შირაქთან" საუბრისას ამბობს, რომ კლდის იმ მონაკვეთში, სადაც ჩამოშლა მოხდა, კვლავაც მძიმე ვითარებაა და საფრთხე კიდევ არსებობს, რასაც შესწავლა სჭირდება.

სერგო ქართველიშვილი: „ძეგლის აღდგენა თავისუფლად შეიძლება, საგანგაშო ვითარება ნამდვილად არ არის. საბედნიეროდ, სერიოზული დაზიანებები არ მიუღია. ადვილი შესაძლებელია დაზიანებების აღმოფხვრა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კლდის იმ ადგილში, საიდანაც ლოდი მოწყდა, ისევ დიდი საშიშროება რჩება, რომ პროცესი გაგრძელდეს. ასეთივე ლოდები იქ კიდევ მრავლადაა. ნაპრალებში წყალი ჩადის, და ჩამორეცხვა ხდება, ზამთარში ყინვაა და საფრთხეს ართულებს. მოგეხსენებათ, უამინდობა დაემთხვა, ჯერ წვიმები იყო, შემდეგ თოვლიც მოვიდა და ვფიქრობ, ჩამოშლა, სავარაუდოდ, ნალექს უკავშირდება. ძირეული კვლევა სჭირდება, რომ სამომავლოდ საფრთხე ავიცილოთ თავიდან. სპეციალისტების შესწავლის გარეშე ვერაფერს ვიტყვით, თუმცა შესწავლა უნდა დაიწყოს და მომავალ კვირას ველოდებით ძეგლთა დაცვის სპეციალისტებს სამინისტროდან".

ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერი დედოფლისწყაროში 2007 წლიდან გაიხსნა, ამ საქმეში ლომის წვლილი მიუძღვის დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძეს, ასევე არქიტექტორს სერგო ქართველიშვილს, მშენებლობის ორგანიზატორს დავით ფხოველიშვილს, და სხვა მრავალს.

დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე: „1999 წელს რომ გადმოვედი დედოფლისწყაროში, მაშინაც ვატარებდით აქ პარაკლისს, რადგან წირვის საშუალება არ იყო. მაინც ბევრი ხალხი იკრიბებოდა. ერთ დღესაც ტაძრის ნაშთებში შევნიშნეთ ფრესკის ფრაგმენტი, რამაც საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ამ ადგილას იყო ტაძარი. ამის შემდეგ დიდი სურვილი გვქონდა ეს ტაძარი აღგვედგინა. 2004-08 წლებში ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების განვითარების პროგრამა დაიწყო და მცირე გრანტების პროგრამით და მოსახლეობის მხარდაჭერით მივიღეთ მასში მონაწილეობა. არქიტექტორ სერგო ქართველიშვილის დახმარებით შევადგინეთ პროექტი, რომელიც მცირე გრანტების პროგრამამ დააფინანსა, აქვე ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოებიც, რომელიც იულონ გაგოშიძემ აწარმოა. მან დადასტურა, რომ ამ ადგილას მონასტერი მეექვსე საუკუნიდან ფუნქციონირებდა და ეს ნაშთი სწორედ იმ პერიოდით დათარიღდა. თანხები საკმარისი არ იყო, თუმცა კეთილი ადამიანების გვერდში დგომით მოხერხდა ტაძრის აღდგენა. რაც მთავარია მშენებლობისთვის ძველ მეთოდებს ვიყენებდით. ვინაიდან კლდეზე ტექნიკა ვერ მიუდგებოდა, სათითაო ქვა ხელიდან ხელში გადადიოდა და ასე ავზიდეთ სამშენებლო მასალები და მთელი რაიონი გაერთიანდა ამ საქმეში. თითქმის 1 200 ტონა მასალა ასე აიზიდა. 2005 წელს დაიწყო მშენებლობა და 2007 წელს ჩავატარეთ პირველი წირვა. როცა ალექსანდრე დიუმა მოგზაურობდა კახეთში, მას აღწერილი აქვს ელია თეზბიტელის ტაძარი. მას გადმოცემული აქვს როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ადგილობრივები ამ ადგილს".

ილია მარტყოფლიშვილი

გამოჯანმრთელებული არწივი ველურ ბუნებაში დააბრუნეს

ბექობის არწივის მართვე, რომელსაც თბილისის ზოოპარკში მკურნალობდნენ, დედოფლისწყაროში გაუშვეს. როგორც ზოოპარკში აცხადებენ, დაჭრილი არწივი მათთან ორი თვის წინ მიიყვანეს, გამოჯანმრთელების შემდეგ კი ველურ ბუნებაში დააბრუნეს.

„ორიოდე თვის წინ ზოოპარკში დაჭრილი ბექობის არწივი მოგვიყვანეს. წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა, კოორდინაციას კარგავდა, ვერც დგებოდა და არც ფრენა შეეძლო. შევიფარეთ და ჩვენი ვეტექიმები საქმეს შეუდგნენ - ჭრილობის დამუშავება, ანტიბიოტიკები, ვიტამინები... თავიდან ხელით უწევდათ მისი გამოკვება. რამდენიმე დღეში დამშვიდდა, ცოტა მოღონიერდა და დამოუკიდებლად დაიწყო ჭამა. შემდეგ ჯერ ფეხზე დადგა, მერე ხტუნვა დაიწყო, ნელ-ნელა ფრთებიც გაშალა და მალე ქანდარასაც შესწვდა. საკმარისად რომ მოყოჩაღდა, უფრო დიდ ვოლიერში გადაიყვანეს და კონტაქტიც ნაკლებად ჰქონდათ, რომ ადამიანებს გადაჩვეოდა. და აი, 2 თვის წვალების შემდეგ ამ უსიმპათიურესი არსების ბუნებაში დაბრუნების დროც დადგა", – აცხადებენ თბილისის ზოოპარკში.

ბექობის არწივი საერთაშორისო და საქართველოს წითელ ნუსხაშია შეყვანილი, როგორც მოწყვლადი სახეობა. საქართველოში ბექობის არწივის კონსერვაციის პროგრამას ორგანიზაცია „საბუკო" ხელმძღვანელობს.

ი ყ ი დ ე ბ ა !

ერთოთახიანი ბინა ქ. დედოფლისწყაროში, მიკრორაიონის ტერიტორიაზე, ბუნებრივი აირითა და წყლით უზრუნველყოფილი.
ფასი შეთანხმებით.
☎ 555 22 42 88

იყიდება კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინა ავეჯით და ავეჯის გარეშეც.
მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №44; მე-5 სართული; ბინა 13.
ფასი შეთანხმებით.
☎514 01 80 14;

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

ხორნაბუჯის საჯარო სკოლას საუკუნოვანი ისტორია აქვს და აქ ყოველთვის სწავლობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. წლების წინ მოსწავლეთა მცირე კონტიგენტის გამო სკოლაში გაუქმდა რუსული სექტორი. მიუხედავად იმისა, რომ მშობლების მხრიდან მუდმივად იყო რუსული სექტორის აღდგენის მოთხოვნა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მისი აღდგენა ვერ ხერხდებოდა, სანამ ახალი ხელმძღვანელობა არ მოვიდა დედოფლისწყაროში.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ირაკლი შიოლაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს იმ კეთილი საქმისთვის, რაც მათ ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის გააკეთეს. 2016 სასწავლო წელს გაიხსნა პირველი რუსული კლასი, რაც ჩვენი, მოსწავლეების მშობლების დიდი ხნის ოცნება იყო.

პატივისცემით,
ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 07.11		სამშაბათი 08.11		ოთხშაბათი 09.11		ხუთშაბათი 10.11		პარასკევი 11.11		შაბათი 12.11		კვირა 13.11	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
7°	4°	9°	8°	11°	9°	13°	9°	13°	9°	13°	8°	13°	10°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.